საქართველოს მთავრობა

საქართველოს პრეზიდენტს

გიგზავნით საქართველოს მთავრობის განკარგულებას „2023 წლის 13-16 მარტს საფრანგეთის რესპუბლიკასა და ბელგიის სამეფოში საქართველოს პრეზიდენტის სამუშაო ვიზიტებთან დაკავშირებულ წინადადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

N 7593
13.03.2023

საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 500 2023 წლის 13 მარტი ქ. თბილისი

2023 წლის 13-16 მარტს საფრანგეთის რესპუბლიკასა და ბელგიის სამეფოში საქართველოს პრეზიდენტის სამუშაო ვიზიტებთან დაკავშირებულ წინადადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 7^4 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტს მიეცეს თანხმობა 2023 წლის 13-16 მარტს საფრანგეთის რესპუბლიკასა და ბელგიის სამეფოში ევროპის კავშირში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით, სამუშაო ვიზიტებთან დაკავშირებულ 2023 წლის 10 მარტის №1717 წერილით წარმოდგენილ წინადადებაზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

KA000060889610123

№1718
10 / მარტი / 2023 წ.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 7^4 მუხლის შესაბამისად, მთავრობის სხდომაზე განსახილველად, მთავრობის თანხმობის მისაღებად წარმოგიდგენთ საქართველოს პრეზიდენტის წინადადებას საქართველოს კონსტიტუციით დაკისრებული ვალდებულების თანახმად, ევროპის კავშირში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით, 2023 წლის 13-იდან 16 მარტის ჩათვლით საქართველოს პრეზიდენტის საფრანგეთის რესპუბლიკასა და ბელგიის სამეფოში სამუშაო ვიზიტებთან დაკავშირებით.

სამუშაო ვიზიტების ფარგლებში იგეგმება საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრები საფრანგეთის რესპუბლიკის უმაღლეს თანამდებობის პირებთან (ქ. პარიზი), ევროპული საბჭოს პრეზიდენტთან, ევროკომისიის პრეზიდენტსა და ევროპარლამენტის თავმჯდომარესთან (ქ. ბრიუსელი), ასევე იგეგმება ევროპარლამენტისადმი მიმართვა პლენარულ სესიაზე (ქ. სტრასბურგი).

დანართი: 1 გვერდი

საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი
გიორგი მსხილაძე

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
№ 7331
10 03 2023
2 ფურცელი

საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს მთავრობას

მოგეხსენებათ, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე გარდამტეხი პერიოდია. ჩვენი ქვეყანა ელოდება წინასწარ შეფასებას ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობის თაობაზე, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი მეგობარი და პარტნიორი ევროპული ქვეყნების მხარდაჭერას საქართველოსათვის ამ ისტორიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საფრანგეთის მზადყოფნა და სურვილი, განსაკუთრებული მხარდაჭერა გაუწიოს საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოსაპოვებლად.

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 7^4 მუხლის შესაბამისად, თანხმობის მისაღებად წარმოგიდგენთ წინადადებას საქართველოს კონსტიტუციით დაკისრებული ვალდებულების თანახმად, ევროპის კავშირში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით, 2023 წლის 13-იდან 16 მარტის ჩათვლით საქართველოს პრეზიდენტის საფრანგეთის რესპუბლიკასა და ბელგიის სამეფოში სამუშაო ვიზიტებთან დაკავშირებით.

სამუშაო ვიზიტების ფარგლებში იგეგმება საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრები საფრანგეთის რესპუბლიკის უმაღლეს თანამდებობის პირებთან (ქ. პარიზი), ევროპული საბჭოს პრეზიდენტთან, ევროკომისიის პრეზიდენტსა და ევროპარლამენტის თავმჯდომარესთან (ქ. ბრიუსელი), ასევე იგეგმება ევროპარლამენტისადმი მიმართვა პლენარულ სესიაზე (ქ. სტრასბურგი).

სალომე ზურაბიშვილი

N1717
10.03.2023